სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

08 ივნისი, 2026 წ.

ბრძანება №01-12/108

ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სტაჟიორთა

სერტიფიცირებისა და მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, „ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 20 მარტის №01-10/33 ბრძანების, ,,ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 01 მაისის №01-12/83 ბრძანებისა და ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის 2026 წლის 05 ივნისის №675399 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში 2026 წლის 05 მაისიდან 2026 წლის 05 ივნისამდე პერიოდში სტაჟირების წარმატებულად გავლისათვის **გაიცეს სერტიფიკატები,** თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი №1), შემდეგ სტაჟიორებზე:
   ა) **ლალი კობალაძე** - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი (2025-26 სასწავლო წელს);
   ბ) **ნათია ჯინჭარაძე** - ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის „ტურიზმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული.
2. სერტიფიკატების დამზადება და გაცემა უზრუნველყოს ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტმა.
3. ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სტაჟიორებთან (ლალი კობალაძე, ნათია ჯინჭარაძე) მათი თანხმობისა და ანაზღაურების გარეშე სტაჟირების წარმატებით გავლის საფუძველზე, **გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები** 2026 წლის **08 ივნისიდან 6 თვის ვადით** (ყოველთვიურად გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობა - 500 ლარი).
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).
5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სტაჟიორებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბერაბ დიასამიძე

,,ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სტაჟიორთა სერტიფიცირებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 8.06.2026 წლის №01-12/108 ბრძანების დანართი N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW – BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

სერტიფიკატი
CERTIFICATE

ადასტურებს, რომ / **Confirming that**

---------- / ----------

წარმატებით გაიარა (05.05.2026-05.06.2026) სტაჟირება
ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში

has successfully completed (05.05.2026-05.06.2026)
internship at the BSU Public Relations Office.

ბსუ-ს რექტორი: ტიტე არუშიძე
Rector of BSU: Tite Aroshidze

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: მერაბ დიასამიძე
Chief of the Administration of BSU : Merab Diasamidze

სერტიფიკატის გაცემის საფუძველი: ბრძანება №_____; 08.06.2026 წ.